1. სადემონსტრაციო აუზის კონსტრუქციული ელემენტების ესკიზი (დანართი 2.)

რკინაბეტონის კონსტრუქცია აკმაყოფილებს ზიდვის უნარის მიხედვით გაანგარიშებისა და ექსპლუატაციისათვის სრული უვარგისობის გამორიცხვის (პირველი ჯგუფის ზღვრული მდგომარეობები), აგრეთვე ნორმალური ექსპლუატაციისათვის ვარგისობის (მეორე ჯგუფის ზღვრული მდგომარეობები) მოთხოვნებს:

ზღვრულ მდგომარეობათა გაანგარიშება უზრუნველყოფს კონსტრუქციებიის დაცვას:

1. მყიფე, ბლანტი, პლასტიკური, დაღლილობითი ან სხვა ხასიათის რღვევისაგან
2. კონსტრუქციის ფორმის მდგრადობის (თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშება მდგრადობაზე და სხვ.) ან მდებარეობის მდგრადობის დაკარგვისაგან
3. ძალური ფაქტორებისა და გარემოს არახელსაყრელი გავლენის ერთობლივი ზემოქმედების შედეგად გამოწვეული რღვევისგან.

დატვირთვისა და ზემოქმედების მნიშვნელობები, აგრეთვე დატვირთვის მიხედვით საიმედოობის კოეფიციენტი, შეხამების კოეფიციენტი და დატვირთვების დაყოფა მუდმივად და დროებითად მიიღება ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად. გამოყენებული მასალის ხარისხი შესაბამება გაანგარიშებით მიღებული მაჩვენებლების მახასიათებლებს.

1. ბეტონი ბ 25
2. არმატურა - Ø 12 A-III
3. არმატურის ბადე ვერტიკალური კედლებისათვის ერთმგი 160X160 Ø12 A-III, ჰორიზონტალური გადახურვისათვის ორმაგი 125 X 125 Ø12 A-III,

კონსტრუქციული ელემენტები (ესკიზი 3.).

ესკიზი 1.




ესკიზი 2.



ესკიზი 3.




პატივისცემით,

შპს „სმკ“ ს აღმასრულებელი დირექტორი /დ.გულბანი/